ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 54

"21" დეკემბერი 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, მუხაძის ქუჩა №5-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.19.17.003.071.01.500 და №01.19.17.003.071.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, მუხაძის ქუჩა №5-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.19.17.003.071.01.500 და №01.19.17.003.071.02.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 16 დეკემბრის №21.1719.1913 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, მუხაძის ქუჩა №5-ის მიმდებარედ, 5.25 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.19.17.003.071.01.500) დ 41.71 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: № №01.19.17.003.071.02.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე რუსუდან სალთხუციშვილისთვის (პ/ნ. 01011058585) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება ერთის თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე